საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო

KA010172039395416

ეროვნული სატყეო სააგენტო გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო. ტელ.:275-39-59

№ 07/15472

29 / ივლისი / 2016 წ.

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს ბატონ ლევან შონიას

ბატონო ლევან,

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგნეტომ განიხილა თქვენი 2016 წლის 29 თებერვლის #01/280 წერილი, რომელიც ეხება სოციალური ჭრის ფარგლებში მოსახლეობის I ხარისხის ხე-ტყით უზრუნველყოფას.

გაცნობებთ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში შესაძლებელია 5 000 (წიწვოვანი-4700მ^3; ფოთლოვანი-300მ^3) მ^3 მათ შორის წალენჯიხის სატყეო უბანში 300მ^3 წიწვოვანი, მარტვილის სატყეო უბანში 400 მ^3-წიწვოვანი; კოლხეთის სატყეო უბანში 300 ფოთლოვანი, ხაიშის სატყეო უბანში 2500 მ^3-წიწვოვანი და მესტიის სატყეო უბანში 1500მ^3-წიწვოვანი I ხარისხის ხე-ტყის გამოყოფა.

გთხოვთ, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, 5 000 მ^3 (წიწვოვანი-4700მ^3; ფოთლოვანი-300მ^3) I ხარისხის ხე-ტყის გამოყოფის მიზნით სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში წარმოადგინოთ შუამდგომლობა, სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია თითოეული მოქალაქის გვარის, სახელის, პირადი ნომრისა და მოქალაქისათვის გასაცემი I ხარისხის ხის სახეობისა და მოცულობის მითითებით. შუამდგომლობას თან უნდა ახლდეს კომისიის შესაბამისი დასკვნა და ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები. ამასთანავე შუამდგომლობები წარმოადგინეთ ჩვენს მიერ მოწოდებული მონაცემების (სატყეო უბნებში არსებული რესურსი) გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, მართვის ორგანოს მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება მოსახლეობისათვის I ხარისხის ხე-ტყის გამოყოფა.

პატივისცემით,

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

თორნიკე გვაზავა